5,2 მედიაციის ცენტრი



ბიზნესპალატის წევრებისთვის შეიქმნება „მედიაციის ცენტრი“. მედიაცია წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას. მისი როლი საქმიან ურთიერთობებში განსაკუთრებულია როგორც კონფიდენციალობის დაცვის, ასევე პრობლემების სწრაფი, ეფექტური გადაჭრის კუთხით. თუკი მხარეებს შორის ურთიერთობა დაძაბულია იმდენად, რომ გარდაუვალია პოზიციების დაპირისპირება და თავს იჩენს ურთიერთბრალდებები, მიზანშეწონილია დავის მედიაციისთვის გადაცემა. მედიატორი დაეხმარება მხარეებს ხელსაყრელი გამოსავლის პოვნაში, რომელიც კომპანიებს აარიდებს ზედმეტ დანახარჯს.

მედიაციის პრინციპები ეფუძნება წებაყოფლობითობას, კონფიდენციალობას, მიუკერძოებლობას და მოქნილობას. ცენტრი დაეყრდნობა მედიაციის შესახებ საქართველოს კანონსა და მედიაციის წესებს.

ცენტრი დაკომპლექტდება კვალიფიციური მედიატორებით, იურისტებითა და ფინანსისტებით, რათა ზედმიწევნით მოხდეს არსებული დავის პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა. ცენტრის ეფექტუანობის გაზრდისთვის, ბიზნესპალატა ტრენინგების, ვორკშოპების და მრგვალი მაგიდის შეხვედრების ორგანიზებით ითანამშრომლებს „საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან“.

5,3 დარგობრივი გადამზადების ცენტრი

დარგობრივი გადამზადების ცენტრის ფორმირების იდეა ეფუძნება საქართველოში პროფესიული განათლებისა და თითოეული ინდივიდის პიროვნული განვითარების ხელშეწყობას, რაც თავისთავად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაზე. ამასთანავე, ცენტრის მიზანია დაეხმაროს სახელმწიფოს ბაზარზე კვალიფიციური კადრების მომარაგებით. ამ მხრივ, კერძო სექტორის ჩართულობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

ორგანიზაციის მიზანია მისცეს თითოეულ ინდივიდს უწყვეტი პროფესიული განვითარების საშუალება, როგორც ადგილზე განათლების მიღებით, აგრეთვე, ბიზნესპალატის ხელშეწყობით ორგანიზებული გაცვლითი პროგრამების / სემინარების / ტრენინგების ფარგლებში.

აღნიშნული ცენტრის მიზანი იქნება კადრების დარგობრივი სრულყოფა. იმ შემთხვევაში, თუ ქართულ ბაზარზე შესაბამისი სპეციალისტების მობილიზება ვერ მოხერხდება, პალატა უზრუნველყოფს უცხოეთიდან შესაბამისი სფეროს ექსპერტ-ტრენერების მოწვევას. ცენტრი გასცემს საერთაშორისო სერტიფიკატს (გადამზადების შემდეგ).

BCAGC-ში წარმოდგენილი იქნება შემდეგი დარგები:



- ❖ აგრონომია:
- ❖ მეცხველეობა:
- ❖ სასურსათო ტექნოლოგია:
- ❖ სატყეო საქმე (მაგ; ტყის გაშენების ტექნიკისი, ტყის პათოლოგისტ-ტექნიკოსი):
- ❖ **ინჟინერია** (ინფორმატიკა, ტელეკომუნიკაცია, ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები, საინჟინრო ფიზიკა, ენერგეტიკა და ელექტრო ინჟინერია, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია, ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია, მშენებლობა სამოქალაქო და სამრეწველო, მეტალურგია, მასალათმცოდნეობა, გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება, სამთო და გეოინჟინერია, აგროინჟინერია, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია, საინჟინრო გეოდეზია და გეოინფორმატიკა);
- ❖ **ზუსტი და საბუნებისმეტყველო დარგები** (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია / სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები / გამოყენებითი ბიომეცნიერებები, გეოგრაფია, გეოლოგია);
- ❖ **არქიტექტურა** (შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა და ურბანული დაგეგმვარება, ინტერიერის დიზაინი, ლანდშაფტური არქიტექტურა, გარემოს დიზაინი, ფერისა და განათების დიზაინი, რესტავრაცია/კონსერვაცია).
- ❖ **საზღვაოსნო მეცნიერებები** (ჰიდროგრაფია, საზღვაო ნავიგაცია / გემის მექანიკა / გემის ელექტრომექანიკა).



გარდა დარგობრივი გადამზადების ცენტრისა, ორგანიზაციაში წარმოდგენილი იქნება ექსპერტ-სპეციალისტთა ბაზა, რომელიც დაკომპლექტდება კვალიფიციური ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტებით. ექსპერტებსა და სპეციალისტებს შესაძლებლობა მიცემათ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება წარადგინონ აზიისა და სპარსეთის ყურის წარმომადგენლებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე, ასევე:

- მიღონ გამოცდილება საერთაშორისო დონეზე, „**ცოდნის ექსპორტის**“ ფარგლებში და სამშობლოში ახალი გამოცდილებით დაბრუნდნენ. აღნიშნული აქტივობა არა მარტო გაზრდის სპეციალისტთა კვალიფიკაციას საქართველოში, არამედ ინვესტიორებსაც გაუმარტივებს სწორი კადრების პოვნას და შერჩევას;
- დაუკავშირდნენ ინვესტიორებს და ჩაერთონ მასშტაბურ პროექტებში, შეიტანონ წვლილი ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე კომერციულ პროექტებში;
- გაიმყარონ და გააფართოონ პროფესიული კავშირები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;
- აიმაღლონ კვალიფიკაცია შესაბამის დარგში სერტიფიცირებული კურსებისა თუ „**ვორკშოპების**“ მეშვეობით;
- გარდა ამისა, პალატის წევრ სპეციალისტებსა და ექსპერტებს საშუალება ექნებათ საკუთარი ცოდნა გაუზიარონ ამავე დარგის დამწყებ სპეციალისტებს ფორუმების, სამუშაო შეხვედრებისა თუ ტრენინგების ფორმატში და ამავდროულად თავადაც გაეცნონ სიახლეებსა და ტენდენციებს პალატის მიერ მოწვეული, უცხოელი ექსპერტების დახმარებით.

დარგობრივი პროფესიონალების მონაცემთა ბაზის სტრუქტურა

პლატფორმაზე დარეგისტრირება შეეძლება სამი რანგის პროფესიონალს:

1. დამწყები სპეციალისტი;
2. სპეციალისტი;
3. ექსპერტი.

ბაზის სტრუქტურაში, ასევე შეიქმნება „ექსპერტთა საბჭო“, სადაც სხვადასხვა დარგის ექსპერტები იმსჯელებენ საქართველოში ბიზნესის განვითარების და ქვეყანაში პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების შესახებ, მოაზადებენ სახელმწიფოს განვითარებისათვის საჭირო რეკომენდაციებს შესაბამისი სამთავრობო უწყებებისთვის. ამასთან ერთად, იზრუნებენ გადამზადების ცენტრის ფორმირებასა და მის მუდმივ გაუმჯობესებაზე.

6. ბიზნესპალატის სხვა მიმართულებები

6.1 მწვანე ეკონომიკა – ნარჩენების მართვა

და მასთან დაკავშირებული გამოწვევები

პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მწვანე ეკონომიკის განვითარების პოპულარიზაციას მოწინავე ქვეყნების (მათ შორის ინდოეთის) გამოცდილების მიხედვით (ნარჩენების გადამუშავების პროცესში). საქართველომ, ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შემდეგ, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა გარემოსდაცვითი

ფონისძიებების გატარებისა და ნარჩენების მართვის კუთხით.

ჩამოყალიბდა ნარჩენების მართვის სექტორი და შეიცვალა

კანონმდებლობა (მაგალითად, ნარჩენების მართვის კოდექსი), რაც ლოგიკურად აისახა ბიზნეს და სავაჭრო ურთიერთობებზე.

2014-2015 წლებში თბილისში გადაიდგა პირველი ნაბიჯები ნარჩენების ფრაქციის სორტირებისთვის (ქადალდი, პლასტმასი, მეტალი და მინა), თუმცა, მიუხედავად არაერთი ქმედითი ღონისძიებისა, პრობლემა კვლავ აქტუალურია. ორგანიზაციის დამფუძნებელთა ხედვით, კერძო სექტორის ჩართულობა აღნიშნულ პროცესში უმნიშვნელოვანესია, აუცილებელია ერთიანი მართვის სისტემის ჩამოყალიბება და, მონაცემთა განახლებასთან ერთად, მისი პერიოდული შეცვლა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ორგანიზაცია მუდმივ რეჟიმში ითანამშრომლებს სხვადასხვა არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციასთან, ვინაიდან ჯანსაღი გარემო ჩვენი მომავალი თაობის უფლებაა.

ბიზნესპალატას მიაჩნია, რომ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება აისახება ქვეყნის ეკონომიკურ კლიმატზეც, ვინაიდან დაბინძურებული ნიადაგი და მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელი არცერთი პოტენციური ინვესტორისთვის არ არის მიმზიდველი.



იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს არ აქვს დიდი რაოდენობით ბუნებრივი რესურსები, აუცილებელია არსებულის ხელახლა გამოყენება. მაგალითად, მინის ბოთლების საწარმოში ჩაბარება მისი ხელახლი მოხმარებისთვის, რაც აპრობირებული მეთოდია ჩვენს ქვეყანაში. ამ დროს ხარჯის, ენერგიის და რესურსების დაზოგვა ერთიანად ხდება, რადგან პროდუქტის ტექნოლოგიური დამუშავება საჭირო აღარ არის.

6.2 საქართველოს, როგორც „სავაჭრო დერეფნის“ ბიზნესგარემო

ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების საფუძველი ინვესტიციებია. ისეთი მცირე ქვეყნისთვის კი, როგორიც საქართველოა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა, რადგან შიდა ინვესტიციები, როგორც წესი, დეფიციტურია.

საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია „ბიზნესის კათების“ გამარტივების მხრივ, რაც არაერთ საერთაშორისო რეიტინგში პოზიტიურად აისახა მის მდგომარეობაზე (რიგითობაზე). ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქვეყანაში ბიუროკრატიული წნევის არქონას და ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს არსებობას.

ინვესტირების კუთხით საქართველო მრავალმხრივ მიმზიდველია, რასაც ასევე ხელს უწყობს:

- პოლიტიკური რეფორმები;
- ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები;
- სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია;
- მიმზიდველი მაკროეკონომიკური გარემო;
- კონკურენტული სავაჭრო წესები;
- ლიბერალური საგადასახადო კოდექსი;
- მოდერნიზებული ლიცენზიების სისტემა;
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (DCFTA);
- საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება;
- სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა 2021 წლის 21 ივნისს გამოაქვეყნა ანგარიში „საინვესტიციო კლიმატი 2021“, სადაც თემატურ ჭრილშია განხილული საქართველოს გარემო პირობები, მისი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლებით.

დღიუმენტში ქვეყანა მოხსენიებულია, როგორც რეიტინგების ლიდერი რეგიონში, „ბიზნესის კეთების“ სიმარტივის თვალსაზრისით.

მიუხედავად პოსტპანდემიური გამოწვევებისა, საქართველოს პოლიტიკა ბიზნესისა და ინვესტიციების მიმართულებით პოზიტიურადაა შეფასებული. ასევე ნათქვამია, რომ საქართველომ სტაბილური და განვითარებადი საბაზრო ეკონომიკისკენ სვლა დიდი რეფორმების შემდეგ დაიწყო, რომლის სათავედაც 1991 წელს გახორციელებული მასშტაბური ეკონომიკური ცვლილებებია მოხსენიებული.

ამერიკის სახელმწიფო ადმინისტრაცია ასევე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის მომგებიან პოზიციაზე, რაც გულისხმობს დასავლეთ აზისა და აღმოსავლეთ ევროპის გზაჯვარედინზე მდებარეობას. სწორედ ამიტომ, ტრანზიტი და ლოჯისტიკა დღიუმენტში პრიორიტეტულ მიმართულებებად არის მოხსენიებული, როგორც საერთაშორისო ვაჭრობიდან სარგებლის მიღების გზები. ამ კონტექსტში ნახსენებია ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რომელმაც გააძლიერა საქართველოს სატრანზიტო პერსპექტივა. აგრეთვე ხაზგასმულია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის მნიშვნელობა. მნიშვნელოვანია თანამედროვე პლატფორმათა რეიტინგები საქართველოში ბიზნესკლიმატთან დაკავშირებით:

- საქართველო „ბიზნესის კეთების“ სიმარტივით (ე.წ Doing Business) მსოფლიო ბანკის რეიტინგში **მე-7 ადგილს** იკავებს:

<https://www.doingbusiness.org/en/rankings>

- ეკონომიკური თავისუფლების მხრივ კი საქართველოს მსოფლიოში **მე-12 ადგილი** უკავია:

<https://www.heritage.org/index/ranking>

6.3 ახალგაზრდების განვითარება და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ კავკასიის რეგიონი ოდითგანვე თავს უყრიდა განსხვავებული ეროვნების, მრწამსისა და იდეოლოგის ადამიანებს, რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით აღწევდნენ საყოველთაო კეთილდღეობას. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში, ქართველმა მეცნიერმა, მწერალმა და პოლიტიკოსმა სულხან-საბა ორბელიანმა დაწერა ცნობილი იგავ-არაკი „ძალა ერთობაშია“, რომელიც დღესდღეობით საქართველოს დევიზია და მის გერბზე ღირსეულ ადგილს იკავებს. აღნიშნული ფასეულობის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ სწორედ საქართველო გვევლინება ერთიანი კავკასიის იდეის აღორძინების ინიციატორად.

მართალია, რამდენიმე ათეული წლის წინ განვითარებული მოვლენები მტკივნეულად დარჩა ჩვენს კოლექტიურ მეხსიერებაში, მაგრამ ნათქვამი და მრავალჯერ დადასტურებულია, რომ დრო საუკეთესო მკურნალად გვევლინება. მტკივნეული მოგონებების წარსულში დატოვების უნარი საშუალებას გვაძლევს განვაახლოთ ურთიერთობა და ისტორიის ახალი თავის წერა სუფთა ფურცლიდან ერთად დავიწყოთ.

სწორედ აღნიშნულ ჩანაფიქრს ემსახურება პროექტი - „განათლებული ახალგაზრდა წარმატებული ბიზნესისთვის“. „აზისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნესპალატა“ აცნობიერებს, რომ ეკონომიკური ინტერესები ძლიერი მოტივატორია და შესაძლოა იქცეს ბაზად, რომელზეც კავკასიის ხალხებს შორის მჭიდრო ურთიერთობა დაშენდება, ამიტომ ორგანიზაციამ შეიმუშავა გეგმა ახალგაზრდების დასაახლოვებლად და ერთმანეთის კულტურისადმი ინტერესის გასაღვივებლად.

პროექტის მიზანი

მოგეხსენებათ, ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის მთავარი პირობა განათლებული თაობაა, განსაკუთრებით ისეთი სახელმწიფოსთვის, რომელიც კულტურულ-ისტორიული პოტენციალით ერთ-ერთი უნიკალურია მთელ მსოფლიოში. მოცემული ფაქტის გათვალისწინებით, BCAGC-მა მიზანდ დაისახა:

ა) მომავალი თაობისათვის ცოდნის ამაღლება სპეციფიკურ სფეროებში, რომლებიც ახალგაზრდებს დაეხმარებათ პიროვნულ (ინტელექტუალურ, მორალურ) და კარიერულ (პროფესიულ) განვითარებაში;

- ბ) საქართველოს ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა;
გ) ახალი ბიზნესისთვის საფუძვლის ჩაყრა, პროგრამის - „**ახალგაზრდა წამომწების**“ ფარგლებში.

პალატამ მიზნების განსახორციელებლად შეარჩია ორი თემა: „ძველი კოლხური და იძერიული ცივილიზაციები“ და „მტკვარ-არაქსის კულტურა“. პროექტმა უნდა უბიძგოს ქართველ, სომებ, აზერბაიჯანელ, აფხაზ და ოს ახალგაზრდებს კულტურული ინტეგრაციისკენ. დარგის სპეციალისტებთან ერთად, უნდა შემუშავდეს ე.წ. საექსპედიციო მარშრუტი, რომლის ფარგლებშიც ახალი თაობა გაეცნობა ქვეყნის ისტორიას, კულტურას, ძველ წეს-ჩვეულებებს, სხვადასხვა კუთხის ტრადიციებსა და კულინარიას. აღნიშნული აქტივობა მონაწილეობს შესაძლებლობას მისცემს თავიანთი ქვეყანა მსოფლიოს ახალი კუთხით წარუდგინონ და იქამდე შეუმჩნეველი, მნიშვნელოვანი ასპექტები წარმოაჩინონ. ეს კი, თავის მხრივ, აამაღლებს სახელმწიფოს ცნობადობას და გაზრდის ტურისტულ პოტენციალს.

ცალკე უნდა გამოვყოთ პროექტის ეკონომიკური რაკურსი, ახალგაზრდების დახმარებით შესაძლებელი გაზდება იდეების მობილიზება და პრაქტიკული საფუძველი ჩაეყრება სამომავლო ბიზნესპარტნიორობას.

მხარდამჭერები: პროექტში უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი სპეციალისტების და სახელმწიფო/საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა, როგორებიცაა: „აწარმოე საქართველოში“; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგრანტო სააგენტო; „საპარტნიორო ფონდი“; ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია: GIZ, USAID, EBRD, მსოფლიო ბანკი, იაპონიის საელჩო, შვეიცარიის საელჩო და სხვა.

სელექცია: ორგანიზაციამ უნდა შეიქმნას ახალგაზრდების ასაკობრივი კატეგორიები (14-18; 18-23), რათა საერთო თვალსაწირის მქონე მოსწავლეები/სტუდენტები/ერთობლივად გაეცნონ შემდეგ თემებს:

- ა) „ძველი კოლხური და იძერიული ცივილიზაციები“ - აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, ისინი შეისწავლიან ტრადიციულ არქიტექტურას, კულინარიას, მეურნეობასა და ეკოსოფლების სპეციფიკურ გარემოს. სტუმრები იმოგზაურებენ წარსულში და ეზიარებიან კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელ ცხოვრებას.
- ბ) ამიერკავკასიის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, ოსური, აფხაზური და ა.შ.) წარმოჩენა.

შეირჩევა ყველა მსურველი, განურჩევლად ეროვნებისა, და დაყომპლეტდება შესაბამისი ჯგუფები.

ჩანაფიქრის უპირველესი მიზანია ტოლერანტული ურთიერთობისა და მშვიდი „მეზობლობის“ ჩამოყალიბება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს ინტერკულტურული დიალოგის წამოწყებას.

6,4 ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი

ისტორია საუკეთესო მასწავლებელია, ამიტომ როცა თანამედროვე ბიზნესასპარეზზე ვმსჯელობთ და მის მაქსიმალურად ათვისება-გაფართოებას განვიხილავთ, აუცილებელია თვალი გადავავლოთ წარსულ გამოცდილებას: ძვ. წ. II საუკუნეში ეკონომიკური აღორძინების მიზეზად იქცა ტრანსკონტინენტური, სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ჩინეთს, ხმელთაშუა და შავი ზღვების სახელმწიფოებს აკავშირებდა. „აბრეშუმის გზამ“ გაამარტივა არა მარტო საქონლის ექსპორტ-იმპორტი, არამედ ინფორმაციული ნაკადების, მათ შორის კულტურის, იდეების, რელიგიის, ფილოსოფიისა და განათლების მიმოქცევა (მიმოცვლა). „აბრეშუმის გზისთვის“ ხელახლა სულის შთაბერვა შესაძლოა 21-ე საუკუნეშიც ეკონომიკური აღორძინების მიზეზად იქცეს, ამ მიზნით ჩამოყალიბებული „აზიისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნესპალატა“ საფუძველს ჩაუყრის კულტურულ-საგანმანათლებლო ფესტივალს - „გაზაფხული აბრეშუმის გზაზე“. ვინაიდან გაზაფხული აღიარებულია სიცოცხლის, ახალი საწყისისა და პროგრესის სიმბოლოდ, ფესტივალის სახელი შეგვიძლია მივიჩნიოთ იდეის სიმბოლურ გამოხატულებადაც.

ფესტივალის შესახებ

კულტურულ-საგანმანათლებლო ფესტივალი „გაზაფხული აბრეშუმის გზაზე“ (დიალოგი და განვითარება) 2022 წლის მაისის ბოლოს ჩატარდება თბილისში, რიყის პარკში. ფესტივალი გააცოცხლებს აბრეშუმის გზის ეპოქას, რომელიც აერთიანებდა უძველეს ქვეყნებს (თურქეთი, აზერბაიჯანი, ირანი, ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, ყაზახეთი, საქართველო). სახელმწიფოები წარადგენენ თავიანთ კულტურულ საგანძურს, ორგანიზატორების მიერ წინასწარ გაწერილი სცენარის მიხედვით. ღონისძიების ფარგლებში, წარმოჩინდება სამეურნეო

კულტურის პოტენციალი და, ამასთანავე, მოხდება მისი ტირაჟირება. აღსანიშნავია, რომ სპეციალურად ფესტივალისთვის შეიქმნება უნიკალური ლოგო და პიმნი, რომელიც მომავალ თაობებს შემოუნახავს ამ მასშტაბური, ინტერკულტურული ღონისძიების ისტორიას.

მიზანი

ფესტივალის მიზანია „აბრეშუმის გზის“ აღმოსავლური მარშრუტის ქვეყნების ეთნოკულტურისა და ეკონომიკური განვითარების წარმოჩენა - პოპულარიზაცია. ეს სავაჭრო გზა ოდესაზე აერთიანებდა ქვეყნების ეკონომიკებს ჩინეთიდან ევროპის ქვეყნების ჩათვლით. იგი კვეთდა უამრავ ქალაქს, უდაბნოსა და ოზისს. „გაზაფხული აბრეშუმის გზაზე“ კიდევ უფრო ცნობადს გახდის ამ ისტორიული გზას.

მოსალოდნელი შედეგი

სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ერთმანეთს გაუზიარებენ დიდი ისტორიული მარშრუტის მნიშვნელობას და ჩამოყალიბდებათ თანამშრომლობის აქტიური პოზიცია კულტურულ-საგანმანათლებლო ქრილში. ღონისძიების ფარგლებში, ისინი იმოგზაურებენ წარსულში და თავად იქნებიან იმ ისტორიის ნაწილი, რომელიც განვლო ამ მარშრუტმა დასაბამიდან დღემდე.

7. კონცეფციის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების სისტემა

კონცეფციის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- სამოქმედო გეგმის განხორციელების რეგულარული კონტროლი (განახორციელებს საკონსულტაციო ცენტრი);
- სამოქმედო გეგმის შუალედური შეფასება, ანგარიშებზე დაყრდნობით (ანგარიშის ჩაბარება ასოცირებულ წევრთა კრების მიერ);
- სამოქმედო გეგმის ყოველწლიური შეფასება, ანგარიშებზე დაყრდნობით (ანგარიშის ჩაბარება ასოცირებულ წევრთა კრების მიერ).

მენიშვნა: შემუშავდება და დამტკიცდება სტრატეგიის მიზნების და შედეგების საზომი ინდიკატორები (შედგენილი იქნება ბიზნესპალატის საკონსულტაციო ცენტრის მიერ).



8. კონცეფციის შემაჯამებელი ანალიზი

„აზიისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნესპალატა“ გააღმართავებს საქართველოს, აზიისა და სპარსეთის ყურის სახელმწიფოებს შორის საქმიან ურთიერთობას, ასევე ხელს შეუწყობს ახალ სავაჭრო/ეკონომიკურ კავშირებს. ორგანიზაცია მუდმივ რეექიმში ითანამშრომლებს შესაბამის ორგანოებთან, რათა უწყვეტ რეექიმში მოხდეს ბიზნესის წინაშე არსებული ახალი გამოწვევების და პრობლემების იდენტიფიცირება, შედეგად კი, მაქსიმალურად იქნას დაცული ინვესტორის კანონიერი ინტერესები საქართველოში. თანამშრომლობის ფარგლებში, წევრი კომპანიები მიიღებენ მნიშვნელოვან სარგებელს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საქართველოში აღნიშნული მიმართულებით, პრაქტიკულად, არც ერთი პალატა, ორგანიზაცია თუ თანამებობრობა არ ფუნქციონირებს. ჩვენი ბიზნესპალატის უნიკალურობას, ამავდროულად, ექსპერტებისა და კვალიფიციური სპეციალისტების განახლებადი ბაზაც განაპირობებს. სწორედ ის გვევლინება საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციონირებისას ერთ-ერთ განმასხვავებელ „ნიშად“. თუ გავითვალისწინებთ სპარსეთის ყურის ქვეყნების პროგრესულად მზარდ ეკონომიკას, მათ მიერ უცხოეთში განხორციელებულ ინვესტიციებს და მთავრობათა ლიდერობას ბიზნესსფეროს მიმართ, უფრო მყაფიოდ წარმოჩინდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი მოვლენა „აზიისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნესპალატის“ დაფუძნება. მოხსენებული წამოწყების დამსახურებით საქართველო აღიქმება, როგორც ინვესტიციებისა და ბიზნესის წარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს მქონე სახელმწიფო.



**9. საქართველოს ეკონომიკის არსებული
პარამეტრები (სტატისტიკური მონაცემები)
და ინფორმაცია:**

მოსახლეობა და დემოგრაფია:

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით, ათასი	3 718.4	3 7169	3 721.9	3 728.6	3 726.4	3 729.6	3 723.5	3 716.9	3 728.6
ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა, კაცი	49 657	60 635	59 249	56 569	53 293	51 138	48 296	46 520	...
გარდაცვლილთა რიცხოვნობა, კაცი	48 564	49 087	49 121	50 771	47 822	46 524	46 659	50 537	...
ქორწინებათა რაოდენობა, ერთეული	34 693	31 526	29 157	25 101	23 684	23 202	23 285	16 359	...
განეკორწინებათა რაოდენობა, ერთეული	8 089	9 119	9 112	9 539	10 222	10 288	11 205	7 643	...
იძიგრანტთა რიცხოვნობა, კაცი	92 458	82 161	92 557	90 228	83 239	88 152	96 864	89 996	...
ეძიგრანტთა რიცხოვნობა, კაცი	95 064	88 704	95 965	98 288	85 451	98 935	105 107	74 264	..

მშპ-ს ზრდა

	2017	2018	2019	I 20*	II 20*	III 20*	IV 20*	2020*	I 21*
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი ლარი	40.8	44.6	49.3	11.1	11.1	13.3	13.9	49.4	11.3
მშპ მუდმივ 2015 წლის ფასებში, მილიარდი ლარი	36.6	38.4	40.3	9.1	8.8	9.8	10.2	37.8	8.7
მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტი	4.8	4.8	5.0	2.3	-13.2	-5.6	-6.8	-6.2	-4.5
მშპ დეფლატორის ცვლილება, პროცენტი	8.5	4.4	5.2	7.1	7.2	5.9	7.4	6.9	6.8
მშპ ერთ სულშე (მიმდინარე ფასებში), ლარი	10 933.9	968.0	239.4	974.3	990.2	586.7	741.6	292.7	3 024.1
მშპ ერთ სულშე (მიმდინარე ფასებში), ამშ ღოლარი	4 358.5	4 722.0	4 696.2	016.3	952.9	156.2	144.1	4 274.6	912.5
მშპ მიმდინარე ფასები, მილიარდი აშშ ლორარი	16.2	17.6	17.5	3.8	3.5	4.3	4.3	15.9	3.4

დასაქმება და უძუშევრობის დონე:

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021 I
საშემამართო ძალა (სეტოური მოსახლეობა), ათასი კაცი	1629.0	1675.6	1653.8	1641.4	1605.2	1572.8	1523.7	1447.2
დასაქმებული, ათასი კაცი	1255.0	1308.5	1294.5	1286.9	1296.2	1295.9	1241.8	1129.7
უძუშევარი, ათასი კაცი	374.0	367.2	359.2	354.5	309.0	276.9	281.9	317.5
უძუშევრობის დონე, პროცენტი	23.0	21.9	21.7	21.6	19.2	17.6	18.5	21.9


სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია)

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	99.1	99.5	103.1	104.0	102.1	106.0	102.6	104.9	105.2
დეკომპინგი წინა წლის დეკომპინგთან	98.6	102.4	102.0	104.9	101.8	106.7	101.5	107.0	102.4


საგარეო ვაჭრობა

	2015	2016	2017	2018	2019	2020*	2021* (იანვარი-ივნისი)
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	9 508.4	9 459.0	10 802.9	12 741.5	13 317.6	11 396.3	6 209.7
საქონლის რეგისტრირებული უქსპორტი (FOB)	2 204.2	2 117.1	2 745.7	3 379.7	3 798.4	3 343.4	1 884.7
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	7 304.2	7 341.9	8 057.2	9 361.8	9 5119.2	8 052.9	4 325.0
საგარეო ვაჭრობის საღდომ	-5 100.0	-5 224.7	-5 311.4	-5 982.1	-5 720.8	-4 709.4	-2 440.3
ადგილობრივი უქსპორტი	1 602.5	1 620.4	2 007.8	2 226.2	2 324.5	2 408.1	1 377.6


უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების ნილი მთლიან ექსპორტში 2021*
ნლის იანვარ-ივნისში



ქვეყნების უგულების ნილი მთლიან ექსპორტში 2021* ნლის იანვარ-ივნისში



უმსხვილესი საექსპორტო საქონელი, მიღიონი აშშ დოლარი



აზისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნესპალატის მიღმა არის მჭიდრო მეგობრობა. მრავალი ერთობლივი და წარმატებული პროექტის შემდეგ, უცხოელმა და ქართველმა ბიზნესმენებმა - ბ-ნი ბილალ მანსური (არაბთა გაერთიანებული საამიროები), ბ-ნი ქამელ ჯოუდერი (ირლანდია, ალექსი), ბ-ნი სოუპილ ლაიბი (საფრანგეთი, მარკვი), ჰასან თარკანი (თურქეთი), აჰმად ნაჰარ აბუზაიდი (იორდანია), დავით ცირდავა (საქართველო), გიორგი ოთარიძე (საქართველო), ალი ამმ გოლომი (ქუვეითი), დარბაზ პრაშერი (ინდოეთი) - დააარსეს BCAGC, რომელიც გააერთიანებს საერთო ინტერესების მქონე პარტნიორებს და ჩამოაყალიბებს ლიბერალურ ბიზნესგარემოს. რეგიონის გაძლიერებისა და სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელია თურქეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს არსებული მეგობრული ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარება. სამივე მხარის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდება თანამშრომლობა საკანონმდებლო ინიციატივების კუთხითაც ეკონომიკური ურთიერთობების გასაღრმავებლად. აღნიშნული ინიციატივები და აქტივობები კი ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის მშვიდობასა და დიპლომატიური ურთიერთობების განმტკიცებას. ამისათვის ბიზნესპალატის პრეზიდენტად დაინიშნა ბატონი შეპმეთ ბოზანი, რომლის უშუალო ჩართულობითაც უკვე განხორციელების პროცესშია და აქტიურად განიხილება სხვადასხვა საინვესტიციო პროექტები მსხვილი თურქელი კომპანიების მხრიდან (და არა მარტო) რეგიონში. აზისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნესპალატა არის მულტიულტურული ორგანიზაცია, რომლის დამფუძნებლები იზიარებენ საერთო ღირებულებებსა და მიზნებს. თითოეულმა მათგანმა თანაბარი წვლილი შეიტანა პალატის ჩამოყალიბებაში.





შეკვეთ ბორგან
BCAGC-ს პრეზიდენტი პრეზიდენტის
პოსტს იყვანებს 2022 წლიდან



დავით ცირდავა
BCAGC-ს პირველი
ვიცე პრეზიდენტი



გიორგი ღოთარიძე
BCAGC-ს ვიცე
პრეზიდენტი



დარვან არაშერი
BCAGC-ს საპატიო
კონსული ინდოეთში



სოუკოლ ლაია
BCAGC-ს საპატიო
კონსული



ელიან გიულახაშვილი
BCAGC-ს კონსული
კომის რესპუბლიკაში



ქარელ გულარი
BCAGC-ს საპატიო
კონსული



ალი ა.მ.მ გოლოზ
BCAGC-ს კონსული
ქუვეითში




ავედ ნავარ ააშჩაიდ
BCAGC-ს კონსული
იორდანიაში



თამარ გაგიაშვილი
BCAGC-ს საპატიო
კონსული ჩინეთში



სეიდ ვოსსეინ ალაზან
BCAGC-ს კონსული
ირანში




დიანა სალუქარი
BCAGC-ს კონსული თურქეთში/
პრეზიდენტის მრჩეველი



ბოკახვე ალ-არადა
საზოგადოებასთან
ურთიერთობის ოფიცერი



მარიამ გერანაშვილი
პირველი ვიცე
პრეზიდენტის თანამემწე



გაეა გურაშვილი
პირველი ვიცე პ
რეზიდენტის თანამემწე



ლეილ გალაფონია
საერთაშორისო
ურთიერთობების მენეჯერი



ნინო უთურაშვილი
იურისტი



ნინო კოშორიძე
იურისტი/ საინვესტიციო
პროექტების მენეჯერი



თამარ სიმონიშვილი
იურისტი

კომენტარი



www.bcagc.org

დამატებითი ინფორმაცია

ბიზნესპალატის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის,
ეწვიეთ საიტს: www.bcagc.org



კონტაქტი
თვისი: +995 322 11 22 88;
მობ.: +995 551 33 55 88
მისამართი: საქართველო,
თბილისი, დავით
აღმაშენებლის N129ა
საფოსტო ინდექსი: 0112
ელ-ფოსტა: info@bcagc.org
საიტი: www.bcagc.org